

ეკონომიკური მეტაფორის დისკურსული და თარგმანის საკითხები

(ამერიკული ეკონომიკური ჟურნალის *Forbes* და მისი შვილობილი
გამოცემის *Forbes Georgia* საფუძველზე)

ანა ზაგრატია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ბაგრატია

01.03.2020

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს. არსებული პანდემიის რთული ვითარებიდან გამომდინარე, მის მიერ გაწეული მხარდაჭერა და პროფესიონალიზმი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისთვის.

მსურს, ასევე, მადლობა გადავუხადო ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ეველინ კილიანს, რომლის სამეცნიერო კომენტარებმა განაპირობა სამაგისტრო თემისადმი ინტერესის გაფართოება, როდესაც ვიმყოფებოდი ამავე უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამა ERASMUS + ფარგლებში.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ ლექტორებს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემი ცოდნის გაღრმავებასა და განვითარებაში.

აბსტრაქტი

ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური აქტივობა მედია დისკურსში ტექსტის სახით რეალიზდება. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები და ახალი თეორიულ-პრაქტიკული ხედვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ენის გამოყენების ასპექტებზე. სწრაფად ცვალებადი გლობალური ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ეკონომიკური დისკურსი მუდმივად ვითარდება, რაც უმთავრესად ეკონომიკური ტერმინების გაფართოებასა და სხვა შემთხვევაში, ახალი ტერმინის შექმნაში აისახება. მედია დისკურსის ანალიზი, კოგნიტური მეტაფორების საფუძველზე, 1970-იანი წლებიდან ვითარდება, რომლის მიზანიც სხვადასხვა მედია დისკურსში მეტაფორის არსისა და ბუნების შესწავლას ემსახურება. მათ შორის, ეკონომიკურ დისკურსში, სადაც მეტაფორა ეკონომიკური ცნებების გამოსახატად მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ეკონომიკური დისკურსის განუყოფელ ნაწილად გვევლინება. შესაბამისად, ნაშრომის ცენტრალური საკითხია მეტაფორა, რომელიც ეკონომიკურ დისკურსში ძლიერ ლინგვისტურ იარაღად გვევლინება და ეკონომიკური ცნებების კონცეპტუალიზაციას ახდენს.

სამაგისტრო კვლევა ორ ძირითად ასპექტს მოიცავს, - ერთი მხრივ, ვიკვლევთ მედია დისკურსში კოგნიტური მეტაფორის მნიშვნელობას და გამოყენებას, ხოლო მეორე მხრივ, თარგმნის საკითხებს ამერიკული პოპულარული გამოცემის ქართული ანალოგის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, კვლევის თეორიულ საფუძველად ვირჩევთ კრიტიკული დისკურს-ანალიზის მეთოდს, რომლის ერთ-ერთი სამეცნიერო ორიენტირი კოგნიტური მეტაფორის ლინგვისტური ანალიზია. ნაშრომში, ხაზს ვუსვამთ ეკონომიკური მეტაფორის ლინგვო-კულტურულ შესწავლას. საკვლევი კორპუსის შეპირისპირებითი შესწავლისას, მოვახდინეთ ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიკაცია და გამოვყავით კონცეპტუალური მეტაფორები, რომლებიც ლინგვისტური მეტაფორების კოგნიტური საფუძველი და ერთგვარი მექანიზმია ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების ფართო სახალხო გაგებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მედია დისკურსი, ეკონომიკური მეტაფორა, ეკონომიკური დისკურსი, კრიტიკული დირსკურს-ანალიზი, კონცეპტუალური მეტაფორა, მეტაფორის თარგმნის საკითხები.

Abstract

The socio-economical activity of human being in media discourse is realized through the text. The current changes in the economy and the new theoretical-practical vision have a significant impact on the aspects of language use. No wonder that the rapid changes in global economy demands the development of economic discourse, which is mainly reflected in the expansion of economic terms and, in another cases, the creation of a new term. Based on cognitive metaphors, the analysis of media discourse has been evolving since the 1970s, with the aim of which is to explore the essence and nature of metaphor in various media discourses. Among them is an economic discourse where metaphor plays an important role in expressing economic concepts and appears to be an integral part of it. Correspondingly, the major subject of the thesis is metaphor, which is a powerful linguistic tool conceptualizing economic concepts in economic discourse.

The thesis consists of two main aspects –From one point of view, we investigate the importance and usage of cognitive metaphor in media discourse, and from another point, we focus on translation issues based on the analysis of the Georgian analogy of the popular American publication. Therefore, the theoretical basis of the research is the critical discourse-analysis, which is one of the scientific orientations analysing cognitive metaphor. Hereby, we emphasize a linguo-cultural study of economic metaphor in the local social-print media. In contrasting study of the subject, linguistic metaphors have been identified and conceptual metaphors been segregated, which are the cognitive basis of linguistic metaphors and a kind of mechanism for a broad public understanding of economic concepts and events.

Key words: media discourse, economic metaphor, economic discourse, critical discourse-analysis, conceptual metaphor, metaphor translation.